

**ლადო პაპავა: ხელისუფლების გეგმით, 2012 წლისთვის რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა იყოს ვალებში გახვეული, ამიტომაც მოიგონეს ეს ახლი კრედიტები და განვადებები!**

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 22-28 ნოემბერი, № 47, 2010

2011 წლიდან საქართველოს შეუწყდება ის უცხოური დახმარებები, რასაც უცხოეთიდან, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ქვეყანა იღებს. რა გვეშველება მერე, საქართველოს ბიუჯეტს ხომ უკვე დაეტყო პრობლემები? ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება.

– მთავრობას უკვე უდგას სერიოზული ფინანსური სიძნელეები და ცდილობს საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმის გამკაცრებით, აურაცხელი ჯარიმებით მეტი გადასახადები ამოიღოს. ამან შეიძლება უკუეფექტი გამოიღოს – მეწარმემ შეიძლება სულ შეწყვიტოს საქმიანობა და წავიდეს სხვა ქვეყანაში. მთავრობის ასეთ მოქმედებას სხვა ახსნაც აქვს. მას სურს საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის ისინი, ვისაც საკუთარი შემოსავლის წყარო აქვს, გახადონ სახელმწიფოზე დამოკიდებული, დაშინებული და ადვილად სამართავი. ასეთი ბიზნესი უკვე არსებობს საქართველოში, თუნდაც, ნავთობის ბიზნესი, სააფთიაქო ბიზნესი.

**– რით უნდა შეივსოს ბიუჯეტი ამ დახმარებების შეწყვეტის შემდეგ? მართო ეს ჯარიმები უშველის საქმეს?**

– როგორც გითხარით, 2011 წელს აღარ გვექნება დახმარების ეს პაკეტი, რომელიც დღეს გვაქვს, ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო არის ევროობლიგაციების გამოშვება. ევროობლიგაცია ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც გაყიდის მთავრობა, ანუ ეს არის იგივე ვალი, რომელიც უნდა გადაიხადო გარკვეულ პერიოდში გარკვეული პროცენტით. მე მკითხველს შევახსენებ, რომ ევროობლიგაციების პირველი ემისია განხორციელდა 2008 წელს, როცა 5 წლის ვადით აიღეს 500 მილიონი დოლარი წლიური 7,5 პროცენტით. მისი გასტუმრების ვადა არის 2013 წელს. იცის დღეს ვინმემ, სად წავიდა და რაში

დაიხარჯა ეს ფული? კაციშვილმა არ იცის, მაგრამ მთავარი არის ის, რომ 2013 წელს ჩვენ ამისთვის უნდა გადავიხადოთ 5 მილიონ დოლარს დამატებული წლიური 7,5 პროცენტი, ანუ მილიარდ ლარზე მეტი. ამის გადახდის უნარი საქართველოს ნამდვილად არ ექნება, თანაც, ეს არის საპრეზიდენტო არჩევნების წელი. ფაქტია, რომ ამ ვალის გასასტუმრებლად ახალი საგარეო ვალის აღება მოგვიწევს. მიუხედავად ამისა, მთავრობა არ ელოდება 2013 წელს და როგორც გითხარით, 2011 წელს აპირებს ახალი ვალის აღებას. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ჩინეთში განაცხადა, თუმცა ბიუჯეტის პროექტში ეს ჯერჯერობით ასახული არ არის.

ბიუჯეტის შევსების მეორე წყაროდ მთავრობას ესახება მაგისტრალური გაზსადენის აქციების გაყიდვა ლონდონის ბირჟაზე. გილაურმა ამის შესახებაც ჩინეთში განაცხადა. ამ გაზსადენის გაყიდვას ჯერ კიდევ 2005 წელს აპირებდნენ. საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა „გაზპრომთან“, მაგრამ აშშ-ის ადმინისტრაციამ ჩვენს ხელისუფლებას მკაცრად მოსთხოვა, ეს არ გაეკეთებინა. ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან გაზსადენის რეაბილიტაციისთვის მისცა 49,5 მილიონი დოლარი და დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, საქართველო იღებდა ვალდებულებას 5 წლის განმავლობაში არ გაესხვისებინა ეს გაზსადენი. ამ ხელშეკრულებას ვადა 2011 წლის აპრილში გასდის, საქართველოს პარლამენტმა ამისთვის მზადება 2010 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა პრივატიზაციის შესახებ კანონში შეიტანა ცვლილება და აკრძალვების მუხლიდან ამოღებულ იქნა გაზსადენი.

**– გილაურმა ჩინელებს ურჩია გაზსადენი იყიდეთო, როგორ ფიქრობთ, მართლა ჩინელები იყიდებიან?**

– ამბობენ, რომ გაზსადენით დაინტერესებულია აზერბაიჯანული კომპანია „სოკარიც“, მაგრამ ვეჭვობ, რომ რუსეთმა და სომხეთმა დაუშვან ამ მაგისტრალის აზერბაიჯანელებისთვის, ან თუნდაც ჩინელებისთვის მიყიდვა. ვფიქრობ, თუ გაზსადენი მართლა გაიყიდა, მის მფლობელად მოგვევლინება ან უშუალოდ „გაზპრომი“, ან რომელიმე სომხური კომპანია „გაზპრომის“ ფულით. აქვე იმედი მაქვს, რომ იქნება, ამერიკა ისევ ჩაერიოს და არ დაუშვას ეს პროცესი. წარმოიდგინეთ, „გაზპრომის“ ხელშია თითქმის მთლიანი მაგისტრალი, ერთადერთი ეს 225 კილომეტრიანი მონაკვეთი არ არის მის კონტროლქვეშ და რა თანხა უნდა დაასახელონ, რომ მათ ვერ შეძლონ ამ მონაკვეთის ყიდვა? ამასთან, მე გავიხსენებ

დავით დარჩიაშვილის განცხადებას, რომ რუსული ფული შეიძლება გამოყანაბულ იყოს ქართული სახელმწიფოს უნდა სასარგებლოდ.

**– პროდუქტებზე ფასების ზრდა ამ დახმარებების შემცირებით არის გამოწვეული?**

– ყველაფერს სხვადასხვა მიზეზი აქვს. მაგალითად, პური გაძვირდა იმის გამო, რომ ხანძარმა რუსეთში შეამცირა ხორბლის მოსავალი და შესაბამისად, რუსეთმა შეწყვიტა მარცვლეულის ექსპორტი, რამაც გამოიწვია ფასის ზრდა მსოფლიო ბაზარზე. ამას მოჰყვა, მაგალითად, ზეთის გაძვირებაც, რადგან ვინც ზეთს ჰყიდის, მასაც აქვს პური საყიდელი. პურს ყველა მოიხმარს, მათ შორის, ყველაზე გაჭირვებულნი. გარდა ამისა, არის სხვა მიზეზები. როდესაც სახელმწიფო ერევა ბიზნესში, აწესებს ჯარიმებს, ფულს აწერს ბიზნესმენებს, ბიზნესმენები ცდილობენ ფასები გაზარდონ, გადასახადებიც, ჯარიმებიცა და შეწერილი თანხებიც გაითვალისწინონ ფასში.

არის კიდევ ერთი მიზეზი, ეს არის ლარის რევალვაცია. უცხოეთიდან შემოსული ფული მართლა ძალიან დაგვეხმარა, მაგრამ როცა ქვეყანა არაფერს აწარმოებს და ფული დასაქონლებული არ არის, ეს იწვევს ინფლაციას. ეს თანხა შემოდის უცხოურ ვალუტაში, ძირითადად დოლარში, ბიუჯეტს კი სჭირდება ლარი, ეროვნული ბანკი იძულებულია ეს თანხები იყიდოს და გაყიდოს ლარი. ეს ზრდის მიმოქცევაში ლარის რაოდენობას და იწვევს ინფლაციას, ფასების ზრდას.

**– არის საუბარი იმაზეც, რომ შეიძლება კომუნალური მომსახურების საფასური გაიზარდოს.**

– რა თქმა უნდა, როცა ქვეყანაში ინფლაციაა, ყველაფერი ძვირდება, მათ შორის, იზრდება ელექტროენერჯის, წყლის, გაზის ტარიფები.

**– ასეთ ვითარებაში ბანკებმა ისევ დაიწყეს სესხების გაცემა, შემოიღეს განვადებების ახალი სისტემა, დღეში ერთ ლარად შეგვიძლია კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ყიდვა. როგორ ფიქრობთ, ხალხი ისევ მიიმე მდგომარეობაში ხომ არ აღმოჩნდება?**

– ბანკი იმისთვის არსებობს, რომ სესხი გასცეს, მაგრამ ჩვენი ბანკების მიერ გაცემული სესხებით ქართული ეკონომიკის დაკრედიტება კი არ ხდება, ჩვენ ვაკრედიტებთ იმპორტს, ანუ, ჩვენი ხალხის გადახდილი პროცენტებით ვაფინანსებთ უცხოეთის ეკონომიკას, კერძოდ, იმ ქვეყნებს, სადაც ეს კომპიუტერები, ტელევიზორები და მაცივრები იწარმოება. რაოდენ არაპოპულარულიც უნდა იყოს

ჩემი განცხადება, მაინც ვიტყვი. პირადად მე ძალიან ცუდ გადაწყვეტილებად მიმაჩნია ბანკების ე.წ. „შავი სიის“ გაუქმება, ხოლო ეს განვადება დღეში ერთ ლარად, ნამდვილად დანაშაულია! ძალიან მინდა, რომ ყველას ჰქონდეს სახლში კომპიუტერი, მაგრამ ეს კრედიტები ემსახურება ერთ მიზანს, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ვალებში გაჭედილი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიქმნება გადაუხდელი ვალდებულებების ახალი ქსელი!

**–თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ვალს ვერ გადაიხდიან?**

– რით გადაიხდიან? წელანაც გითხარით, ამ ფულით ჩვენს ეკონომიკას კი არ ვეხმარებით, სხვა ქვეყნის ეკონომიკას ვაკრედიტებთ. ანუ, ჩვენი ეკონომიკა ხომ ვერ მისცემს ამ ხალხს შემოსავალს და თუ შემოსავალი არ ექნებათ, ვალს როგორ გადაიხდიან? ან რატომ გააუქმეს “შავი სია” და რატომ აძლევენ სესხს იმ კაცს, რომელსაც წინა ვალი არ გადაუხდია? ხომ ცხადია, რომ ეს კაცი ვერც ამ ვალს გადაიხდის?

ნახეთ, რა ხდება. გეუბნებიან დღეში ერთი ლარიო, შენც ფიქრობ, ერთი ლარი რა არის, ამას როგორ ვერ გადავხდიო. ამ დროს სესხი 2 წლიანია, საქონელი გამოდის 30-40 პროცენტით უფრო ძვირი, 700 ლარიან კომპიუტერში უნდა გადაიხადო 1 000 ლარზე მეტი. თანაც, დააკვირდით, როდის დგება ამ კრედიტის მთლიანად გასტუმრების დრო? 2012 წელს. რა ხდება 2012 წელს? საპარლამენტო არჩევნებია! ამ დროისთვის რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა იყოს გახვეული ვალებში, იმიტომ რომ დამშეული ხალხის ხმის ყიდვა უფრო ადვილი და უფრო იაფია. ის „შავი სიაც“ ამიტომ გაუქმდა, თორემ როდის უპატიებიათ აქამდე ვინმესთვის რამე? ჩვენი ბრიყვი მოსახლეობა კი ისევ აიღებს ახალ ვალებს, ისევ ვერ გადაიხდის, ასეთი ხალხის დაშინება და მართვა კი ყველაზე ადვილია. 50 ლარი მიეცი და ნაყიდი გაქვს ხმა.

კიდევ ვიმეორებ, „შავი სია“ არ უნდა გაუქმებულიყო. თუ ვალი აიღე, კეთილი ინებე და გადაიხადე. ადამიანებმა უნდა ისწავლონ რას ნიშნავს გაკოტრება. ვიცი, ამ სიტყვების გამო ბევრი გამკრიტიკებელი გამოიმჩნდება, მაგრამ მე პოლიტიკოსი არ ვარ, რომ პოპულისტური განცხადებებით ქულების ჩაწერა მჭირდებოდეს.

**ესაუბრა თეა ასათიანი**